

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტი**

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი  
სატენდერო კომისიის სხდომის**

**ოქმი №1**

24 აგვისტო, 2016 წელი  
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

**სხდომას ესწრებოდნენ:**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

გურგენ სართანია \_ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

თენგიზ შანავა \_ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ჯაბა არდია \_ მშენებლობის სამსახურის უფროსი;

გოჩა კვკუტია \_ ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

ლერი დოჩია \_ სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

ბესიკ ქარდავა \_ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

აქსანა გუჩუა \_ იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით \_ ხუთი წევრის დასწრებით.

**სხდომის დღის წესრიგი:**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო (ორმული) სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან მიზნით ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა.






**მოისმინეს:** სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის გ. სართანიას ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო (ორმული) სამუშაოების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით და კომისიას განსახილველად ელექტრონული ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.

**სხდომის მსვლელობა:** სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო წინადადების ფორმები. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება, განისაზღვრა 63286 ლარით.



**კომისიამ გადაწყვიტა:** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცდეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო (ორმული) სამუშაოების შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

კომისიის წევრები:

- |    |   |             |                |    |  |             |
|----|---|-------------|----------------|----|--|-------------|
| 1. |  | გ. სართანია | (თავმჯდომარე). | 4. |  | ბ. კიკულია. |
| 2. |  | თ. მანავა.  |                | 5. |  | ლ. ლაშია.   |
| 3. |  | ჯ. არდია.   |                |    |  |             |

კომისიის აპარატის წევრები:

- |    |   |             |
|----|---|-------------|
| 1. |  | ბ. ქარდავა. |
| 2. |  | ა. გუჭია.   |